

ფ ა ს ე ბ ი

სამომხმარებლო ფასების ინდექსი

ინფორმაციის წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი), როგორც ინფლაციის დონის დამახასიათებელი მაჩვენებელი, ზომავს ფასებისა და ტარიფების საშუალო ცვლილებას იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც შეიძენს მოსახლეობა პირადი მოხმარების მიზნით. იგი გაიანგარიშება ყოველთვიური პერიოდულობით. სფი მოიცავს 12 სასაქონლო ჯგუფს, საერთაშორისო კლასიფიკატორის “ინდივიდუალური მოხმარება მიზნების მიხედვით“ (COICOP) შესაბამისად. 295 დასახელების საქონლისა და მომსახურების ფასები, რომლებიც გამოიყენება ყოველთვიური სფი-ის გამოსათვლელად, გროვდება ქვეყნის 6 ქალაქში განლაგებულ საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში – მაღაზიებში, ბაზრებში, ბაზრობებზე, ბენზინგასამართ სადგურებში, კლინიკებში და ა.შ. სამომხმარებლო კალათის წონები ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას.

წლიური ინფლაცია – გაანგარიშებულია როგორც სფი-ის პროცენტული ცვლილება მოცემული თვის სამომხმარებლო ფასების ინდექსისა წინა წლის შესაბამისი თვის ანალოგიური მაჩვენებლის მიმართ.

საშუალოწლიური ინფლაცია – გაანგარიშებულია როგორც პროცენტული ცვლილება ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციისა წინა 12 თვის საშუალო ინფლაციასთან.

მწარმოებელთა ფასების ინდექსი

ინფორმაციის წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მწარმოებელთა ფასების ინდექსი (მფი) ასახავს ადგილობრივი მწარმოებლების მიერ საკუთარ პროდუქციაზე დადგენილი ფასების დონის საშუალო ცვლილებას. მის გაანგარიშებაში ჩართულია 500-მდე მოქმედი სამრეწველო საწარმო. წონების განახლება ხდება ყოველწლიურად, პროდუქციის გამოშვების სტრუქტურის შესაბამისად.